1 მაისი

პასექის III კვირადღე, «გ», [III], თ

2022 კვირა

საქმ 5,27-32.40-41; ფს 29; გამოცხ 5,11-14; იო 21,1-19

უდის „ქვედა ეკლესიის“ დღეობა

ისროლეთ ბადე ნავის მარჯვენა მხარეს და იპოვით იო 21,6

მათ არ იციან, რომ იესო ელაპარაკება მათ. ისინი, პეტრე და ექვსი სხვა, მთელი ღამე უშედეგოდ ფხიზლობდნენ და შრომობდნენ ნავში. ახლა ისინი ნაპირზე ბრუნდებიან: ამ დროს თევზის დაჭერა უკვე შეუძლებელია. თუმცა, პეტრე და სხვა მოწაფეები გადაწყვეტენ დაჰყვნენ უცნობს: მათი მორჩილება დაჯილდოვებულია. მორჩილება მეტყველებს თავმდაბლობაზე, ეს კი ძალზე ახარებს ღმერთს!

2 მაისი

2022

პასექის III კვირა [III]

წმ. ათანასე, ეპ. და ეკლ. მოძღვ., +373, (მ) თ

ოიშაბათი

საქმ 6,8-15; ფს 118; იო 6,22-29

ღვთის საქმე ის არის, რომ ირწმუნოთ იგი, რომელიც მან მოავლინა იო 6,29

თავისთავად, მამას არა სურს, რომ მისი სიყვარული უსარგებლო დარჩეს. თუ იგი გვიწვდის საჩუქარს, ის უნდა გამოვართვათ. იგი გვიგზავნის ძეს: მე მიყვარს მამა, როცა მის ძეს ვღებულობ სურვილითა და მადლიერებით. და ვღებულობ მას, როცა სასოებით ვუსმენ, როცა მის სურვილებს ვითავისებ და ვბაძავ მის განწყობებს.

3 მაისი

წმიდანნი ფილიპე და იაკობ
მოციქულნი, დ, [ს], წ

2022 სამშაბათი

1კორ 15,1-8; ფს 18; იო 14,6-14

თუ რამეს ითხოვთ ჩემი
სახელით, გავაკეთებ იო 14,14

იესო პასუხობს ფილიპეს, რომელმაც სთხოვა
მამის ხილვა. ეუბნება მას არა მხოლოდ, რომ
ვინც მას ხედავს, უკვე ხედავს მამის სიყვარულს,
არამედ, რომ შეგვიძლია ვთხოვოთ მას,
როგორ შევთხოვთ ღმერთს: იგი შეისმენს ჩვენს
ვედრებას. ვისარგებლოთ ამით და ვთხოვთ
იესოს სული წმიდა! ჩვენ ვიქნებით დიადი ნიჭი
ეკლესიისთვის.
დღეს მადლობელნი ვართ ფილიპესა და იაკობი-
სა, რომლებსაც უყვარდათ და ემსახურებოდნენ
ეკლესიას სიცოცხლის გაღებამდე!

4 მაისი

პასექის III კვირა [III], თ

2022 ოთხშაბათი

საქმ 8,1-8; ფს 65; იო 6,35-40

მე ვარ ჭეშმარიტი სიცოცხლისა იო 6,35

შედარება, რომელსაც იესო იყენებს, ძალზე მარტივი და გასაგებია. სასიცოცხლოდ გვჭირდება „პური სიცოცხლისა“, ანუ იგი. კი მაგრამ რა სიცოცხლეზე საუბრობს უფალი? რა თქმა უნდა, იმაზე, ყველაზე მეტად რომელიც გვწადია, მშვიდობით, სიხარულით, თანაზიარებითა და საყოველთაო ძმობით შემდგარ სიცოცხლეზე. მის გარეშე ამ სახის სიცოცხლე
არ არსებობს, არ იზრდება და არ მწიფდება.

5 მაისი

2022

პასექის III კვირა [III], თ

ხუთშაბათი

საქმ 8,26-40; ფს 65; იო 6,44-51

ვისაც ჩემი სწამს, მას საუკუნო სიცოცხლე აქვს იო 6,47

იესო ჯერ კიდევ ლაპარაკობს პურზე, „რომელიც ჩამოდის ზეციდან“ ჩვენთვის საქმელად. ამის გარეშე ჩვენი ცხოვრება რჩება ცარიელი და ღარიბი, მეტიც, მდაბალი და ტალახიანი, მიწიერი. თუმცა ამ პურის ქამით – მის ქამას კი რწმენა სჭირდება – ჩვენი ცხოვრება იძენს ღვთის სიცოცხლის მახასიათებლებს, ხდება მარადიული, ანუ საიმედო, სავსე, სრული, მხიარული.

6 მაისი

პასექის III კვირა [III], თ

2022 პარასკევი

საქმ 9,1-20; ფს 116; იო 6,52-59

ჩემი ხორცი ჭეშმარიტი საჭმელია და ჩემი სისხლი ჭეშმარიტი სასმელი იო 6,55

იესო კვლავაც გველაპარაკება თავისი ხორცისა და სისხლის შესახებ. ეს დაჟინებული ყურადღება მიმახვედრებს იმას, რომ არა მისი იდეები და სწავლებები, არამედ თავად იგი, მისი პიროვნებაა მნიშვნელოვანი ჩემი სიცოცხლისათვის ამქვეყნად და საზოგადოებისათვის, სადაც ვცხოვრობ. მე ვჭამ და ვსვამ შენს ხორცსა და შენს სისხლს, შენს პურსა და შენს ღვინოს, იესო, რათა ვიცოცხლო მარადიული სიცოცხლით, ანუ სიყვარულით.

7 მაისი

2022 შაბათი

საქმ 9,31-42; ფს 115; იო 6,60-69

ჩემთან არავის შეუძლია მოსვლა, თუ მამისგან არ ექნება მიცემული იო 6,65

ზოგიერთმა, მეტიც, ბევრმა მიატოვა იესო. ევ-ქარისტიაზე საუბარმა დააბრკოლა ისინი. მათ სურდათ ყოფილიყვნენ საკუთარი ხსნის გმირე-ბი, დაემსახურებინათ ის და არ ეცხოვრათ ისე, რომ მუდამ სამადლობლად ჰქონოდათ საქმე: მუდამ მადლობა ეთქვათ მამისათვის იესოს პუ-რისათვის, მადლობა იესოსათვის მისი ხორცისა და სისხლისათვის. ჩვენ მასთან ვრჩებით, მის გარეშე ხომ არც სიბრძნეა და არც იცოცხლე!

8 მაისი

პასექის IV კვირადღე, «გ», [IV], თ

2022 კვირა

საქმ 13,14.43-52; ფს 99; გამოცხ 7,9.14-17; იო 10,27-30

კამილიელი დედა მარია ნიკოლოზის გახსენება (+2005)
მღვდლობისაკენ მოწოდებულთათვის ლოცვის დღე

ჩემი ცხვრები ჩემს ხმას ისმენენ იო 10,27

მწყემსის ცხვრებთან ურთიერთობას ადარებს იესო ჩვენს კავშირს მასთან. ჩვენ ნებით ვუსმენთ მას და წონას ვანიჭებთ მის სიტყვას, რადგან ის გვცნობს, ანუ ვუყვარვართ და გვაფასებს იმდენად, რომ საკუთარ სიცოცხლეს ჩამოდის ჩვენთვის.

ოთხშაბათი

საქმ 11,1-18; ფს 41; იო 10, 1-10

ნაციზმზე გამარჯვების დღე

მე ვარ კარი
იო 10,9

დღეს იესო იყენებს სხვა ძლიერ შედარებას, რათა გვითხრას თუ როგორ უნდა ვიფიქროთ მასზე. ის არის სამწყსოს კარი. ქურდები კარით არ შედიან, რადგან ფარულად მოდიან და დარაჯს ერიდებიან. როგორ გესმის ეს? ვინც არ გაივლის იესოს, ვინც არ არის მასთან, არ არის სანდო, შენს გასაძარცვად მოდის.

10 მაისი

პასექის IV კვირა [IV], თ

2022 სამშაბათი

საქმ 11,19-26; ფს 86; იო 10,22-30

მე და მამა ერთი ვართ იო 10,30

დასამახსოვრებელი გამოცხადება.
იესო არასოდეს დაიწყებს მამასთან კამათს,
არ ასაზრდოებს მის მიმართ შურს. ის არის და
იქნება ყოველთვის ძე, ანუ გამგონი, დამყოლი.
ამიტომ ჩვენ მას ვენდობით. მისი ნდობით,
ჩვენ უსაფრთხოდ ვართ.

11 მაისი

2022 ოთხშაბათი

საქმ 12,24 - 13,5; ფს 66; იო 12,44-50

მ. იეჟი შიმეროვსკის გახსენება (+2016)

მე ნათელი მოვედი სოფელში იო 12,46

ყოველ დილით მოველით გათენებას. სინათლეა რომ გვაძლევს საშუალებას ვიშრომოთ, ვიაროთ უსაფრთხოდ, დავინახოთ და ამოვიცნოთ ერთ-მანეთი, შევაფასოთ სიკეთე და ბოროტება ჩვენი ქმედებების შედეგებში, ამოვიცნოთ საგნების ფერები, მათი სილამაზე და სარგებლობა. იესო მოვიდა სინათლის დარად: მის გარეშე ნამდვი-ლად ღარიბები და უბედურები ვიქნებოდით ...

12 მაისი

2022 ხუთშაბათი

პასექის IV კვირა [IV], თ

წმმ. ნეიეოს და აქიღევსი, წამ. +IIIს.;
წმ. პანკრაციუსი, წამ. + 304

საქმ 13,13-25; ფს 88; იო 13,16-20

წმ. ანდრია მოციქულის დღესასწაული
საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში

მე ვიცი, ვინც ამოვარჩიე

იო 13,18

იესო, შენ იცნობ შენს მოწაფეებს, შენ მიცნობ მეც. იუდასაც იცნობდი და იმდენად ენდობოდი, რომ შენს მეგობრებს შორის მიიღე. ხედავდი, რომ მისი გული მთლად შენ არ გეკუთვნოდა, მაგრამ გინდოდა მისთვის მამის განსაკუთრებული სიყვარულის ნიშანი მიგეცა. ამგვარად მეხმარები, რომ დიდ ვინმედ არ მომქონდეს თავი, რაკი შემიყვარე, არამედ ყოველთვის დარწმუნებული ვიყო მხოლოდ შენში.

13 მაისი

პასექის IV კვირა [IV], თ

ფატიმის ნეტ. ქაღწ. მარიამი - 1917

2022 პარასკევი

საქმ 13,26-33; ფს 2; იო 14,1-6

ნუ შეკრთებაა თქვენი გული იო 14,1

რაკი შენ აქა ხარ, იესო, მშვიდად ვიქნები. ვერაფერი და ვერავინ ამაღელვებს. მე არ მაშფოთებს ჩემი წარსული, რომელიც შენ ჩაგაბარე, არც მომვალი, რადგან შენა ხარ გზა, რომელზეც აუცილებლად გავიცნობ მამას და დავტკბები მისი სიცოცხლის სისავსით.

14 მაისი

2022 შაბათი

წმ. მატათა მოციქული, დ, [ს], წ

(1.V) წმ. თამარ მეფე, +1213; / წმ. მარია დომენიკა მაცარე-ღო, +1881, საღვთო დედათა კონგრეგაციის დამაარსებელი

საქმ 1,15-17.20-26; ფს 112; იო 15,9-17

სალელ დედათა დღესასწაული

ამას გიდებთ მცნებად,
რათა გიყვარდეთ ერთმანეთი. იო 15,17

ვზეიმობთ შენს ერთ-ერთ მოციქულს, უფალო იესო. მატათა დათანხმდა დაეკავებინა იუდას ადგილი და ექცია ის სინათლისა და ერთგულების ადგილად. მან იცხოვრა სიყვარულით, რომელიც შენ ასწავლე: მან მიიღო თერთმეტის გადაწყვეტილება, როგორც ღვთის ნება და სიყვარული შენდამი. შენი ეკლესია, უპირველეს ყოვლისა, ხარობს იმ ურთიერთსიყვარულით, რაც შენიანებს შორის სუფევს.

15 მაისი

პასექის V კვირადღე, «გ», [I], თ

2022 კვირა

საქმ 14,21-27; ფს 144; გამოცხ 21,1-5; იო 13,31-33.34-35

ახლა განდიდდა მე კაცისა იო 13,31

იესო ამბობს ამ სიტყვებს, როცა ხედავს თავისი ვნების მოახლოებას. იუდა უკვე გაუჩინარდა ღამეში თავისი ჩანაფიქრის შესასრულებლად. ახლა მოწაფეების ცხოვრება შეიძლება გასხივოსნდეს იმ სიყვარულის წყალობით, რომლის მიღებასა და გაცემას შეძლებს თითოეული. და სიყვარული, რომელიც იმეფებს მათ შორის, იქნება ღვთის დიდება; ეს ურთიერთსიყვარული იქნება მამისა და ძის გამოცხადება.

16 მაისი

2022

პასექის V კვირა [I], თ

(3.V) წმ. მამაი კათაღიკოსი, VIIIს; / ღიი. მამანი მიქაეღ და ახსენ უღუმბოეღნი, IXს, მონაზონნი

ოიშაბათი

საქმ 14,5-18; ფს 113; იო 14,21-26

სულიწმიდა ყველათეერს გასწავლით იო 14,26

ვისმენთ საინტერესო და ლამაზ ლექციებსა და ჰომილიებს. რას ვგებულობთ? ცოდნა და ინფორმაცია? რისი თქმა სურს მამას? გავიგებთ, რომ ვუყვარვათ მამას და როგორ შევძლებთ შეყვარებას? ჩვენ გულისყურს დავუგდებთ ლოცვით, რათა ყურადღებით ვიყოთ უფლის სულის მიმართ.

17 მაისი

პასექის V კვირა [I], თ

2022 სამშაბათი

საქმ 14,19-28; ფს 144; იო 14,27-31

რათა გაიგოს სოფელმა,
რომ მამა მიყვარს იო 14,31

საიდან ვიცით, რომ გიყვარს მამა? შენ თვითონ, იესო, გაგვეცი ამაზე პასუხი: ბრძოლაში ხვდები წუთისოფლის მთავარს, რომელიც იმარჯვებს. თუმცა, მისი გამარჯვება ერთი შეხედვითაა გამარჯვება, რადგან შენ არ დაუთმე მას, წარეტაცა შენი სიყვარული: ამ სიყვარულს არ დაუჭერ არავის, ამაქვეყის მთავრის მსახურებსაც კი.

18 მაისი

2022

პასექის V კვირა [I], თ

წმ. იოანე I, პაპი და წამებული, + 526

ოთხშაბათი

საქმ 15,1-6; ფს 121; იო 15,1-8

დარჩით ჩემში და მე — თქვენში იო 15,4

უფალო იესო, შენ გაგვიმხილე მამის
განზრახვები და გზები. ის ემსგავსება მევენახე
გლეხს სათითაოდ რომ სხლავს ვაზს, რადგან
ზრუნავს ნაყოფზე. ნაყოფს მაშინ ვიძლევი,
როცა არ გამოვირჩევი, განზე არ ვდგები,
არ გშორდები. ჩემი ცხოვრების ნაყოფი
იქნება შენი ჩემში ყოფნის ნაყოფი.

19 მაისი

2022 ხუთშაბათი

საქმ 15,7-21; ფს 95; იო 15,9-11

ჩემი სიხარული იყოს თქვენში იო 15,11

რა გახარებს შენ? თავადვე გვიჩვენე: სიხარულისაგან აღარა ხარ, როცა უმზერ მამას და ხედავ, როგორ უყვარს მას მცირენი. დღეს გიხარია, რადგან გვხედავ ჩვენ, მცირეებს, მამას რომ ვუყვარვართ, ერთმანეთის სიყვარულით მდიდრებს. ეს შენი სიხარული დღეს უკვე ჩვენს გულს ავსებს. გმადლობთ, იესო!

20 მაისი

2022

პასექის V კვირა [I], თ

(7.V) წმ. ღიხსი იოანე ზედაზნელი და მისი 12 მოწაფე, VIს, (მ); / წმ. ბეჰნახდინე სიენელი, ხუცესი, +1444

პარასკევი

საქმ 15,22-31; ფს 56; იო 15,12-17

მეგობრები გიწოდეთ

იო 15,15

იესო, შენ ნამდვილად მიგვიჩნევ შენი ცხოვრების, შენი დავალების, შენი მისიის მონაწილეებად! უცხონი არა ვართ. შენ პატივისცემით გვეპყრობი და გვაძლევ სამყაროს, რათა შევაკეთოთ, შევავსოთ, გავანათოთ, გადავარჩინოთ ის. შენ მოგვცემ საამისო იარაღს: სიყვარულს, სიხარულს, სიბრძნეს, შინაგან ძალას!

21 მაისი

პასექის V კვირა [I], თ

წმ. ქრისტოფოროე მაგაღანეს ხუც. და მეგ., წამ., +1927

2022 შაბათი

საქმ 16,1-10; ფს 99; იო 15,18-21

მონა არ არის
თავის ბატონზე დიდი იო 15,20

იესო, შენ გვახსენებ ამ აშკარა ჭეშმარიტებას, რომ მოგვამზადო. მტრობა, რომლითაც სამყარო გეპყრობა, ჩვენც დაგვატყდება, რადგან შენი ვართ. ამიტომ ტაშის დაკვრას არ ველით. განვაგრძობთ შენდამი ერთგულებას ისე, რომ თავგზა არ ავაბნევინოთ ბოროტებას, ყველა მხრიდან რომ ცდილობს ხმა გაგვაკმენდინოს.

22 მაისი

პასექის VI კვირადღე, «გ», [II], თ

2022 კვირა

საქმ 15,1-2.22-29; ფს 66; გამოცხ 21,10-14.22-23; იო 14,23-29

ნუ შეკრთება თქვენი გული იო 14,27

იესო არაერთხელ იმეორებს ამ ბრძანებას. მან იცის, რომ მისი მოწაფეები ადვილად შინდებიან და ღელავენ, როგორც იმ ნავში, რომელშიც მას ეძინა. ახლა მას კვლავ საფრთხე ემუქრება და ყოველთვის იქნება საფრთხე მათთვისაც. მაგრამ ღვთის სასუფევლისთვის საჭიროა არა წლების სიმრავლე, არამედ მისდამი ერთგულება.

23 მაისი

პასექის VI კვირა [II], თ

2022 ოხშაბათი

საქმ 16,11-15; ფს 149; იო 15,26–16,4

თქვენც დაამოწმებთ იო 15,27

ჩვენი მოწმობა სულიწმიდის ყოფნის ნიშანია. ის არის ჭეშმარიტი და ერთგული მოწმე. როდესაც ის ჩვენში იმყოფება, ჩვენი ცხოვრება იქცევა იმის ნიშნად, რომ იესო არის მხსნელი იმ ღრმა ბოროტებისგან, რომელსაც გაუდგამს ფესვი ყოველ ადამიანურ საზოგადოებაში. ის გვახარებს სიყვარულში.

24 მაისი

პასექის VI კვირა [II], თ

2022 სამშაბათი

საქმ 16,22-34; ფს 137; იო 16,5-11

მ. ივანე გვარამაძის გახსენება (+1912)

თუ წავალ, მე მოგივლენთ მას იო 16,7

სანამ იესო რჩება ჩვენს შორის ხილული, ჩვენ ვცდილობთ დავტკბეთ მისი თანდასწრებით, ვინუგეშოთ თავის მისი ხმით, მისი მზერით. გვემუქრება საკუთარი გრძნობების ტყვეობის საფრთხე, საკუთარი ეგოს დაკმაყოფილებისკენ მიმართულებს. როდესაც იგი თვალს მიეფარება, ჩვენ თავისუფალნი ვიქნებით მივყვეთ მის შინაგან შთაგონებებს, მისი სულის ხმას.

25 მაისი

2022

პასექის VI კვირა [II], თ

წმ. ბედა ღიხსი, ხც. და ეკ. მძღვ., +735;
წმ. გრიგოლ VII, პაპი, +1085;
წმ. მარია მაგდალენა დე პაცი, ქაღწ., +1607

ოთხშაბათი

საქმ 17,15.22–18,1; ფს 148; იო 16,12-15

თავად ანიჭებს ყველას სიცოცხლეს, სუნთქვას და ყოველივეს საქმ 17,25

ამ სიტყვებს ათენის აკროპოლისზე გადავყავართ, ქალაქის ბრძენთა შორის. მათ წარმოთქვამს პავლე, რომელსაც სურს მიიპყროს იმ ხალხის ყურადღება და მხარდაჭერა, რომლებიც მიჩვეულნი არიან თვითდაფასებას. ეს არის ჭეშმარიტი სიტყვებია, მაგრამ ისინი არ მოდიან ჯვრიდან. ამის გამო უნაყოფოდ დარჩებიან.

26 მაისი

ზეცად ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, «გ», დდ, [ს], თ

ცალკეულ სამრევლოებში შეიძლება აღინიშნოს დამდეგ კვირადღეს.

წმ. ფილიპე ნერი, მღვდ. +1595, (მ), თ;
(13.V) წმ. ღირ. ექვთიმე მთაწმიდელი, +1028წ.

2022 ხუთშაბათი

საქმ 1,1-11; ფს 46; ებრ 9,24-28; 10,19-23; ლკ 24,46-53

ბუზმარეთის კათოლიკური ეკლესიის დღეობა.
საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

სულმთდამ ტაძარში იყვნენ, ღვთის მადიდებელნი ლკ 24,53

მოციქულებმა დაინახეს, რომ იესო ღრუბელში გაუჩინარდა: ჯერ შეაგულიანა ისინი, არ შეპუებოდნენ სამყაროს, პირიქით! მათ მოუწევთ მისი სახელი მოფინონ მთელ მსოფლიოს. ჯერ მზად არ არიან, ამას თავადაც ხვდებიან. ამიტომ შეკრებილან არა სკოლაში, არამედ ლოცვის ადგილას. აქ კი, ვინც რაც არ უნდა თქვას, ისინი ადიდებენ უფალს და აკურთხებენ მას. ესაა მათი მომზადება!

27 მაისი

2022 პარასკევი

პასექის VI კვირა [II], თ

წმ. ავგუსტინე კენტერბერიელი, ეპ., +604

საქმ 18,9-18; ფს 46; იო 16,20-23

სულთმოფენობის ნოვენის დასაწყისი

თუთხრა უფალმა პავლეს: "ნუ შეგეშინდება..." საქმ 18,9

უფალს შეუძლია ღამითაც დაგელაპარაკოს. მოკლე სიტყვა იწყება მისი საფირმო ნიშნით: „ნუ გეშინია“. და ის მოუწოდებს პავლეს ილაპარაკოს და არ გაჩუმდეს: რა უნდა თქვას მან გაბედულად, როცა აკლია გაბედულობა? ის გამოაცხადებს იესოს და გამოაცხადებს მას ჯვარაკიდებულს. ინსტინქტურად, ადამიანები უარყოფენ ამ სურათს, მაგრამ შემდეგ ის იზიდავს მათ. თვითონ თქვა: „როცა ავმაღლდები, ყველას ჩემსკენ მივიზიდავ!“.

28 მაისი

2022 შაბათი

პასექის VI კვირა [II], თ

(15.V) წმ. ღიხსი პიხოს ბხეთეღი, მონაზონი, VIს

საქმ 18,23-28; ფს 46; იო 16,23-28

კვლავ ვტოვებ სოფელს
და მივდივარ მამასთან იო 16,28

იესო, შენი მამული ზეცაშია, საიდანაც მოხვედი ჩვენთან. შენ ასრულებ შენს დავალებას, განახორციელო მამის სიყვარული ჩვენ ცოდვილთადმი. ნაყოფს ჯერ ვერ ხედავ, თუმცა დარწმუნებული ხარ, რომ ის მწიფდება. შენ შეგიძლია დაბრუნდე მამასთან და განაგრძო შენი სულის მობერვა, რომელიც წარგვიძღვება და შეგვეწევა.

29 მაისი

პასექის VII კვირადღე, «გ», [III], თ

(ცალკეულ სამრევლოებში შეიძლება აღინიშნოს ამაღლება)

2022 კვირა

საქმ 7,55-60; ფს 96; გამოცხ 22,12-14.16-17.20; იო 17,20-26

რათა ყველანი იყვნენ ერთი იო 17,21

მამაო მართალო და წმიდაო, შენგააა სიცოცხლის სიტყვა შენს სულთან თანაზიარებაში; ქმენ, რათა ერი შენს მიერ გამოსყიდული, სრულყოფილ ერთობაში იყოს შენი სიყვარულის საკვრელში, რათა ირწმუნოს წუთისოფელმა ის, ვინც შენ მოავლინე, იესო ქრისტე, დასაბამი და მიზანი მთელი ქმნილებისა. იგია ღმერთი, რომელიც ცოცხლობს და სუფევს შენითურთ, ერთობაში სულიწმიდისა, უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

30 მაისი

2022 ოხშაბათი

საქმ 19,1-8; ფს 67; იო 16,29-33

გადმოვიდა მათზე სულიწმიდა საქმ 19,6

პავლე ჩადის ეფესოში, დიდ წარმართულ ქალაქში, ყოველ ნაბიჯზე კერპების გამოსახულებით. თორმეტ მამაკაცს აქვს გარკვეული რწმენა, მაგრამ ისინი ცოდნისა და ნათლობის გარეშე არიან. როდესაც უფალი იესოს სახელით მონათლულებს პავლე მათ ხელებს დაასხამს, რაღაც იცვლება: ისინიც სიხარულით და ჭეშმარიტებით იწყებენ საუბარს იესოზე! სულიწმიდა მოვიდა მათ სანუგეშებლად და გასაძლიერებლად.

31 მაისი

ნეტ. ქალწ. მარიამის მონახულება, დ, [ს], თ

(18.V) წმ. მოწამენი დავით და ტიხიქანი, +693

2022 სამშაბათი

სოფ 3,14-17 ან რომ 12,9-16; ფს: ეს 12,2-6; ლკ 1,39-56

კურთხეულ ხარ შენ
დედათა შორის ლკ 1,42

მარიამის, ჩვენი დედისადმი მიძღვნილ თვეს ვასრულებთ მისი რწმენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტის აღნიშვნით. იგი ანგელოზს ერწმუნა და გაეშურა ელისაბედთან. შესაძლოა, მას მისი დახმარება სჭირდებოდა, მაგრამ მას თავად სჭირდება დაეხმარა, რადგან ანგელოზმა იგი მარტო დატოვა. ახლა ელისაბედის ხმა უბიძგებს მას გამძლეობისკენ, დაიჯეროს და ეჭვი არ შეიტანოს მისთვის მიცემულ სიტყვაში.